

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ფილოლოგია / Philology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის დოქტორი / PhD in Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: პროგრამა არის სამწლიანი, სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 ECTS კრედიტი.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარული მიმართულების რომელიმე დარგში/ქვედარგში/კულტურის კვლევებში / რეგიონმცოდნეობაში / განათლების მეცნიერებებში;
- დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ–ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატის წარმოდგენა). იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნის დადასტურება.
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის (შესაბამისი ქვედარგის ხელმძღვანელის) თანხმობა;
- გასაუბრების შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.

პროგრამის ხელმძღვანელები და კოორდინატორები:

პროგრამის ხელმძღვანელები: ემერიტუსი პროფესორი რისმაგ გორდენიანი, პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე, ემერიტუსი პროფესორი ზაზა ალექსიძე, ასოც. პროფ. გიორგი ლობჯანიძე, პროფ. რამაზ ქურდაძე, პროფ. დარეჯან თვალთვაძე, ასოც. პროფ. ანა ხარანაული, პროფ. სოფიო შამანიდი, პროფ. თინა დოლიძე, პროფ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე, პროფ. მანანა რუსიეშვილი, პროფ. ქეთევან გაბუნია, პროფ. ინესა მერაბიშვილი, პროფ. ცირა ბარამიძე, პროფ. დავით გოცირიძე, პროფ. მარიამ ფილინა, პროფ. ნანა გაფრინდაშვილი, პროფ. კახაბერ ლორია, პროფ. მარინა ჯიქია, პროფ. ირმა რატიანი, ემერიტუსი პროფესორი თეიმურაზ ქურდოვანიძე. ასოც. პროფ. მანანა კვაჭაძე, ასოც. პროფ. ფატმან ანთაძე-მალაშხია, ასოც. პროფ. მარიამ ჩაჩიბაია.

პროგრამის კოორდინატორები: ნანა გაფრინდაშვილი, პროფესორი
მერი ნიკოლაიშვილი, ემერიტუსი პროფესორი

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში გაერთიანებულია შემდეგი ქვედარგები:

- ა) თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება
- ბ) შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (ლიტერატურული კომპარატივისტიკა) - ხელმძღვანელი: პროფ. ირმა რატიანი
- გ) ლიტერატურული ურთიერთობები - ხელმძღვანელები: პროფ. ნანა გაფრინდაშვილი
- დ) თარგმანმცოდნეობა - ხელმძღვანელი: პროფ. ინესა მერაბიშვილი
- ე) ფოლკლორისტიკა - ხელმძღვანელი: ემერიტუსი პროფესორი თეიმურაზ ქურდოვანიძე
- ვ) ქართული ბიბლიის ფილოლოგია - ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. ანა ხარანაული, პროფ. დარეჯან თვალთვაძე
- ზ) ქართული ლიტერატურის ისტორია - ხელმძღვანელი: პროფ. ელგუჯა ხინთიბიძე
- თ) ქართველური ენათმეცნიერება - ხელმძღვანელი: პროფ. რამაზ ქურდაძე, პროფ. დარეჯან თვალთვაძე
- ი) იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება - ხელმძღვანელი პროფ. ცირა ბარამიძე
- კ) კლასიკური ფილოლოგია, ძველადმოსავლური ფილოლოგია - ხელმძღვანელი: ემერიტუსი პროფესორი რისმაგ გორდენიანი
- ლ) ბიზანტიური და ახალბერძნული ფილოლოგია - ხელმძღვანელები: პროფ. თინა დოლიძე, პროფ. სოფიო შამანიძე.
- მ) ინგლისური ფილოლოგია - ხელმძღვანელი: პროფ. მანანა რუსიეშვილი
- ნ) გერმანული ფილოლოგია - ხელმძღვანელი: პროფ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე
- ო) რომანული ფილოლოგია - ხელმძღვანელი: პროფ. ქეთევან გაბუნია
- პ) სლავური ფილოლოგია - ხელმძღვანელები: პროფ. დავით გოცირიძე, პროფ. მარიამ ფილინა
- ჟ) სკანდინავიური ფილოლოგია - ხელმძღვანელი: პროფ. კახაბერ ლორია
- რ) არაბული ფილოლოგია - ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. გიორგი ლობჯანიძე
- ს) ირანული ფილოლოგია - ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. მანანა კვაჭაძე, ასოც. პროფ. ფატმან ანთაძე-მალაშხია,
- ტ) თურქული ფილოლოგია - ხელმძღვანელი: პროფ. მარინა ჯიქია
- უ) ებრაულ-არამეული ფილოლოგია - ასოც. პროფ. მარიამ ჩაჩიბაია
- ფ) სომხური ფილოლოგია - ემერიტუსი პროფესორი ზაზა ალექსიძე
- ქ) ლექსიკოგრაფია

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა საშუალებას იძლევა მომზადდეს ფილოლოგი, მკვლევარი-ანალიტიკოსი, რომელსაც ექნება თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები ფილოლოგიის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად. პროგრამა შემუშავდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. მასში ასახულია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმატებული პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილება.

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა სამი წელია. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულება.

სადოქტორო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, კვლევის ემპირიული ბაზა შეიძლება იყოს პროგრამის ქვედარგების კვლევის ინტერესში მოქცეული ნებისმიერი ენა და ლიტერატურა.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია, ფილოლოგიის, როგორც უმნიშვნელოვანესი ჰუმანიტარული დარგის განვითარება ახალგაზრდა აკადემიური კადრების მომზადებით, რომ ისინი ეზიარონ მსოფლიო ჰუმანიტარული აზროვნების თანამედროვე მიღწევებსა თუ სიახლეებს და, თავის მხრივ, გლობალიზაციის პირობებში იღვაწონ საქართველოში ჰუმანიტარულ დარგთა სამეცნიერო დონის ამაღლებისა და შემდგომი წინსვლისათვის. პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდა დოქტორთა ცოდნა და უნარები შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო სტანდარტებთან.

პრიორიტეტულია ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში დოქტორებმა შესრულებული კვლევებით წარმოაჩინონ და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას გააცნონ ქართული კულტურის მხატვრულ-ესთეტიკური სამყარო, იკვლიონ მისი როლი და ადგილი მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში; ხელი შეუწყონ საქართველოში ფილოლოგიის მიმართულებით შესრულებულ კვლევათა ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში.

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამამ უნდა მოამზადოს ფილოლოგიის დარგში უმაღლესი კვალიფიკაციის თანამედროვე სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის შრომის ბაზარზე. აქედან გამომდინარე პროგრამის მიზნები და ამოცანებია:

- დოქტორანტს მისცეს დარგის ფუნდამენტური ცოდნა;
- სიღრმისეულად შეასწავლოს კვლევის თანამედროვე მეთოდები, მათ შორის ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების მეთოდები, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები.

- განუვითაროს მას დამოუკიდებლად სწავლისა და ახალი ცოდნის ათვისებისა და გათავისების, არჩეული სპეციალობის მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის, აგრეთვე სამეცნიერო გამოკვლევის შესრულების უნარი.
- ხელი შეეწყოს დოქტორანტს, გააცნობიეროს საკუთარი გზა მეცნიერებაში;
- გამოუმუშაოს მას წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- მოამზადოს იგი ფილოლოგიის დარგის ცალკეული დისციპლინის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისათვის.

საკვლევი პრობლემები:

ა) თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება:

ლინგვისტური სემიოტიკა, ენა და კულტურა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ფონოლოგიის თეორია, მორფოსინტაქსის თეორია, სემანტიკის თეორია, ექსპერიმენტული ფონეტიკა, ენათა ტიპოლოგია და უნივერსალები, დიაქრონიული ენათმეცნიერება, ენათა კონტაქტები და არეალური ტიპოლოგია და სხვ.; კომპიუტერული ლინგვისტიკა, ენობრივი პროცესების მოდელირება და ლინგვისტური ინჟინერია, მანქანური თარგმნის თეორია, კომპიუტერული ბაზებისა და თეზაურუსების ორგანიზება, მეტყველების ამოცნობა და სხვ.

ბ) შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (ლიტერატურული კომპარატივისტიკა)

შედარებითი ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის აქტუალური პრობლემების კვლევა თანამედროვე ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიების კონტექსტში (ნარატოლოგია, დიალოგური კრიტიკა, რეცეფციული ესთეტიკა, ჰერმენევტიკა, ფსიქოანალიტიკური კრიტიკა, მითოლოგიური კრიტიკა და სხვა); პოეტიკის ცალკეული პრობლემების, ლიტერატურული მიმდინარეობებისა და ჟანრების შესწავლა, ლიტერატურული პროცესების ტიპოლოგიური და შედარებითი ანალიზი.

გ) ლიტერატურული ურთიერთობები

ლიტერატურულ ურთიერთობათა თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები; ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმები, მათი ისტორია და განვითარების თავისებურებანი; ლიტერატურათა ურთიერთხემოქმედება, ურთიერთგავლენა. შესადარებელ ლიტერატურათა (ნაწარმოები, მწერალი) ტიპოლოგიური მიმართებები; ლიტერატურული ურთიერთობები, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის საშუალება და სხვ.

დ) თარგმანმცოდნეობა

თარგმანის თეორიის თანამედროვე მიმართულებები; თარგმანის თეორია, თარგმანის ლინგვისტიკა, თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი, თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები, თარგმანის ისტორია, თარგმანის კრიტიკა და სხვ.

ე) ფოლკლორისტიკა

ფოლკლორულ ჟანრთა სპეციფიკის კვლევა; მთხრობლებისა (ჰომო ნარან) და თხრობის კონტექსტის შესწავლა; შესრულების ტრადიციის კვლევა; ფოლკლორისტიკის, როგორც ცნობიერების კვლევა და სხვ.

ვ) ქართული ბიბლიის ფილოლოგია

ბიბლიის ქართული თარგმანის ენა, როგორც ქართული სალიტერატურო ენის საფუძველი; ბიბლიის ქართული თარგმანის ტექსტოლოგიური კვლევისა და გამოცემის პრობლემები; ბიბლიის ქართული თარგმანი და თარგმანის ტიპოლოგია შუა საუკუნეებში; ბიბლიის ქართული თარგმანის წარმომავლობის საკითხები; ბიბლიის ქართული თარგმანის მნიშვნელობა წმ. წერილის ტექსტოლოგიური კვლევისათვის; ბიბლია, როგორც სასულიერო მწერლობის ჟანრების განვითარების საფუძველი; ბიბლიის ტექსტოლოგია და სხვ.

ზ) ქართული ლიტერატურის ისტორია

ძველი ქართული ლიტერატურის, ახალი ქართული ლიტერატურის, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები. ძველი, ახალი და უახლესი ქართული მწერლობის ძეგლების მეცნიერული კვლევა, ცალკეული ჟანრების და ლიტერატურული სკოლების ახალი კუთხით და ასპექტით შესწავლა, ქართული ლიტერატურის ცალკეული ნიმუშების დასავლურ და აღმოსავლურ მწერლობასთან ტიპოლოგიური მიმართებების გამოვლენა. ქართული ლიტერატურის ლიტერატურულ-თეორიული პრობლემების კვლევა და სხვ.

თ) ქართველური ენათმეცნიერება

ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურები. ქართული და სხვა ქართველური ენების (სვანური, მეგრული და ლაზური) ლინგვისტური ანალიზი; ქართული, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების თეორიის პრობლემები და სხვ.

ი) კლასიკური ფილოლოგია, ძველადმოსავლური ფილოლოგია

კლასიკური ფილოლოგიისა და ძველადმოსავლური ფილოლოგიის აქტუალური პრობლემების კვლევა ლიტერატურის ისტორიისა და მითოლოგიის, ზოგადად კულტურის ისტორიის, კლასიკური და ძველადმოსავლური ენების სფეროში, კლასიკური და ძველადმოსავლური ტრადიციების რეცეფციის ისტორიის ინტერდისციპლინარული კვლევა და სხვ.

კ) ბიზანტიური და ახალბერძნული ფილოლოგია

ბიზანტიური და ახალბერძნული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის, შუასაუკუნეებისა და ახალი ბერძნული ენის, ბერძნულ ცივილიზაციაში მემკვიდრეობითობის აქტუალური პრობლემების კვლევა, თანამედროვე ბერძნულ კულტურაში ტრადიციისა და ნოვატორობის ფენომენის ინტერდისციპლინარული კვლევა და სხვ.

ლ) ინგლისური ფილოლოგია

ინგლისური ენის სტრუქტურა (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი); მნიშვნელობა ენაში (სემანტიკა, პრაგმატიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, დისკურსის ანალიზი). ისტორიული და კომპარატიული ლინგვისტიკა, ინგლისური ენის ისტორია, სოციოლინგვისტიკა, თარგმანის თეორია. ინგლისური ლიტერატურის ისტორია, ავტორები, პრობლემები, პერიოდები, მიმდინარეობები და სხვ.

მ) გერმანული ფილოლოგია

პრაგმატული დისკურსების ლინგვისტური კვლევა - ამ პრობლემატიკის შიგნით ფილოსოფიური, ეკონომიკური, იურიდიული, სამეცნიერო დისკურსების ინტერდისციპლინური კვლევები. პუბლიცისტური დისკურსის მედიალური თავისებურებების ლინგვისტური კვლევა; ფიქციონალური (პროზისა და ლირიკის) დისკურსის ლინგვისტური კვლევა; გერმანული და ქართული ენების ცალკეული მოვლენების შეპირისპირებითი და კულტურკონტრასტული კვლევები; ინტერკულტურული ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემები, გერმანულ-ქართული კომპარატივისტული კვლევები; მხატვრული ლიტერატურის რეცეფცია; ახალი გერმანული ლიტერატურის პრობლემები; მედიევისტური კვლევები.

ნ) რომანული ფილოლოგია

ფრანგული, იტალიური და ესპანური ენებისა და ლიტერატურების სხვადასხვა ასპექტის კვლევა. რომანის პრობლემები: შუა საუკუნეების რომანი და რომანის ჟანრული მოდიფიკაციები მოდერნიზმის ეპოქაში; კომპარატივისტული ლიტერატურა; რომანის პოეტიკა; ლიტერატურა და მხატვრობა; ლიტერატურის ფსიქოანალიტიკური კვლევა (ფროიდი და ლიტერატურა); ლიტერატურული მითების კვლევა; რომანულ ენათა სინქრონულ-დიაქრონული, ფონეტიკურ-ფონოლოგიური, მორფოლოგიურ-სინტაქსური, ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული, სემიოტიკური, სოციო და ფსიქოლინგვისტური კვლევები; რომანულ ენათა, რომანული და ქართული ენების შედარებით-ტიპოლოგიური კვლევები.

ო) სლავური ფილოლოგია

სლავური ეთნოენობრივი ცნობიერების კროს-კულტურული კვლევა; ინტრაკულტურული და ინტერკულტურული კომუნიკაციის შეპირისპირება; ეთნოენობრივი ცნობიერების ასახვა ლიტერატურაში; კულტურათშორისი კომუნიკაციის განხილვა დიაქრონულ ჭრილში; ეთნოენობრივი ცნობიერების სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები და სხვ.

სლავური ფილოლოგიის ფორმატში ყურადღება დაეთმობა უკრაინული ლიტერატურის ისტორიისა და უკრაინულ-ქართული კულტურათაშორისი კომუნიკაციების საკითხებს, უკრაინული მწერლობის ძეგლების მეცნიერულ კვლევას, ცალკეული ჟანრებისა თუ მიმართულებების, სკოლების ახალ ასპექტში დანახვასა და გაშუქება-შესწავლას, უკრაინული ლიტერატურის ცალკეული ნიმუშების ქართულ მწერლობასთან ტიპოლოგიური მიმართებების დადგენა-გამოვლენას და სხვ.

პ) სკანდინავიური ფილოლოგია

ნორვეგიული, შვედური და, ზოგადად, სკანდინავიის ხალხთა ლიტერატურების ისტორიის სხვადასხვა ასპექტი, სკანდინავიურ ენათა შედარებითი ფილოლოგია, სკანდინავიურ ენათა ისტორია, თანამედროვე სკანდინავიური ლიტერატურა და მისი კომპარატივისტული კვლევა და სხვ.

ჟ) არაბული ფილოლოგია

არაბული ენის ლინგვისტური (მორფოლოგიურ-სინტაქსური) და ლექსიკოლოგიური (სემანტიკურ-ეტიმოლოგიური) პრობლემები; შუა საუკუნეების და თანამედროვე აღმოსავლური, კერძოდ, არაბული პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის ისტორიის და თეორიის, პოეტიკის, ვერსიფიკაციის საკითხები; ყურანის, ისლამოლოგიის, ტექსტოლოგიის პრობლემატიკა., ქართულ-არაბული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობები.

რ) ირანული ფილოლოგია

ირანული ენებისა და დიალექტების (ძველირანული ენობრივი ეპოქა, საშუალო ირანული ენობრივი ეპოქა, ახალირანული ენობრივი ეპოქა) ფონოლოგია, მორფოსინტაქსი, ლექსიკოლოგია, ონომასტიკა, სემანტიკა, ლექსიკოგრაფია და ეთნოსოციოლინგვისტიკა; სპარსული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის (პოეტიკის და ვერსიფიკაციის, ტექსტოლოგიის) საკითხები, (ძველი, ისლამამდელი ლიტერატურული ძეგლები; შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი სპარსული ლიტერატურა; ზეპირსიტყვიერება). ქართულ-აღმოსავლური კულტურული ურთიერთობები.

ს) თურქული ფილოლოგია

თურქული ენების საენათმეცნიერო (ფონეტიკა, ფონოლოგია, მორფოლოგია, მორფოსინტაქსი, სინტაქსი) საკითხები; თურქულ-ქართველური ენობრივი ურთიერთობები; აზერბაიჯანულ-თურქული ინტერფერენციის ხარისხი ინგილოურსა და ჩვენებურების

ქართულში; საქართველოს შესახები ოსმალური ისტორიული დოკუმენტები და ნარატიული ძეგლები; თურქული ზეპირსიტყვიერება; დივანის, თანზიმათის პერიოდის, ახალი და უახლესი თურქული ლიტერატურის საკითხები;

ტ) ებრაულ-არამეული ფილოლოგია

ზოგადი ბიბლიესტიკა ქართულ პრობლემატიკასთან ერთად (ბიბლიის ქართული თარგმანის ძველი პლასტები), ებრაული და არამეული ენების სტრუქტურა, სემიტურ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობანი, არამეული ეპიგრაფიკა საქართველოში, არამეული კულტურის კერები და ადრექრისტიანული პრობლემატიკა, იუდაიზმი, ებრაული კულტურა დიასპორებში, თანამედროვე ებრაული ენა და ლიტერატურა, ტექსტოლოგია და ტექსტუალური კრიტიკა.

უ) იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

იბერიულ-კავკასიურ (აფხაზურ-ადიღურ, ნახურ, დაღესტნურ და ქართველურ) ენათა გრამატიკული სტრუქტურისა და ძირეული ლექსიკის ისტორიულ-გენეზისური ურთიერთმიმართების პრობლემურ საკითხთა კვლევა; კონკრეტულ ენათა ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკურ პროცესთა, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი კვლევა; კონკრეტული სამწერლობო ენისა და მისი დიასისტემების ურთიერთმიმართების პრობლემების კვლევა; იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჯგუფებს (აფხაზურ-ადიღურ-ქართველურ, ნახურ-ქართველურ, დაღესტნურ, ქართველურ, ადიღურ-ნახურ და ნახურ-დაღესტნურ) შორის ენობრივი და ლინგვოკულტურულ-არეალური ურთიერთობების საკითხთა კვლევა; კავკასიაში არსებული ენობრივი სიტუაციისა და ენობრივი პოლიტიკის საკითხთა კვლევა ისტორიისა და თანამედროვეობის შეფასების თვალსაზრისით; იბერიულ-კავკასიური ენობრივი მასალის ელექტრონული დამუშავება, მოდელირება; მონაცემთა ბაზის შექმნა.

ფ) სომხური ფილოლოგია: ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის, ქართული და სომხური მწერლობის ძეგლების შედარებითი და ტიპოლოგიური შესწავლა; ქართული-სომხური ენობრივი ურთიერთობები.

ქ) ლექსიკოგრაფია: ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია; ლექსიკოგრაფიის ისტორია; ენობრივი ეკვივალენტობის პრობლემის თეორიული საფუძვლები; პრაქტიკული ლექსიკოგრაფია; ორენოვანი ლექსიკონების შედგენის ლექსიკოგრაფიული პრინციპები: ომონიმია, პოლისემია, ფრაზეოლოგია, კვალიფიკაციები და სხვა; დარგობრივი / სპეციალიზებული ლექსიკონების შედგენის ლექსიკოგრაფიული პრინციპები: განმარტებითი, ორენოვანი, მრავალენოვანი და სხვა; კორპუსის ლინგვისტიკის ისტორია და თეორიული საფუძვლები; ელექტრონული და ონლაინ-ლექსიკოგრაფიის ისტორია და ძირითადი პრინციპები; თანამედროვე ქართული ლექსიკოგრაფია: ძირითადი პროექტები, მიმართულებები, პრინციპები.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

ფილოლოგიის დოქტორი სიღრმისეულად ფლობს დარგში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს. იცის ფილოლოგიის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების ძირითადი და უახლესი კონცეფციები; იცნობს ისეთ უმნიშვნელოვანეს თეორიებს, როგორებიც არის უნივერსალური ლიტერატურის თეორია; ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურის თეორია და სხვა. არჩეული სპეციალობის შესაბამისად შეუძლია ახალი ლიტერატურათმცოდნეობითი ან ლინგვისტური სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება. ფლობს სტრუქტურული, დესკრიფციული, ფუნქციონალური, გენერატიული გრამატიკების და კომპიუტერული ლინგვისტიკის მოდელების აგების პრინციპებს; შეუძლია სინქრონიული და დიაქრონიული მეთოდების, ენის სოციალური და გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზება.

აქვს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა მის მიერ არჩეულ ქვედარგში, რაც შესაძლებლობას აძლევს, მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი. მას შეუძლია იმ ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული; აცნობიერებს ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების ადგილს თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში; აცნობიერებს ლიტერატურისა და ენის შესახებ მეცნიერების ურთიერთკავშირს სხვა ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებებთან და საზოგადოებაში ჰუმანიტარული ცოდნის გავრცელების აუცილებლობას.

კურსდამთავრებულს შეუძლია ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური სამეცნიერო ტიპის ტექსტების შექმნა და შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გაფორმება და არგუმენტირება აკადემიური ფორმით; სხვების პოზიციის შეფასება/განხილვა კორექტული სახით; წერის დროს ადეკვატური ლექსიკისა და ენობრივი სტილის გამოყენება. აქვს სამეცნიერო ჯგუფის ლიდერისათვის საჭირო ჩვევები. იცნობს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპს და საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო მომენტებს. ფლობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საშუალებით სწავლების პროცესის წარმართვის უნარს და ელექტრონული სწავლების საფუძველებს. მონაწილეობს ელექტრონული სწავლებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში. კურსდამთავრებულმა იცის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესები, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის არსი, ბოლონიის პროცესის მახასიათებლები და მისი ძირითადი ამოცანები, საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პრინციპები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნები; ფლობს უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძველებს, აცნობიერებს მის მიზნებსა და შედეგებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ფილოლოგიის დოქტორს შეუძლია იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, მას შეუძლია შეიმუშავოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები, მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. შეუძლია

დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებით. შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები; შექმნილი ცოდნა და კომპეტენციები წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში, სამეცნიერო დაწესებულებასა თუ უნივერსიტეტში მუშაობისას. შეუძლია დარგის მეტაენით ოპერირება და წარმატებული სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენლებთან; შეუძლია გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები; შეუძლია არა მარტო შეიძინოს და დააგროვოს ცოდნა, არამედ სხვებსაც გადასცეს იგი; შეუძლია კვალიფიციურად მოამზადოს ფილოლოგიური დარგის ცალკეული დისციპლინის სასწავლო-მეთოდური მასალები; შეუძლია ფილოლოგიასა და მის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებში მიღებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პროფესიული კომენტირება და განზოგადება.

კურსდამთავრებულს აქვს აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზია და სხვ.) შექმნის, მათი შეფასებისა და პრეზენტაციის უნარი. შეუძლია ელექტრონული სწავლების საფუძვლების, მეთოდოლოგიის, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის კვლევა/სწავლებაში დანერგვა. შეუძლია სამეცნიერო კვლევების შეფასება და კვლევის შედეგების სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან სათანადოდ წარმოჩენა, სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტების შემუშავება ან/და დახვეწა პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის მიმზიდველი ფორმის მისაცემად. შეუძლია სილაბუსის და საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავება და შეფასება ბოლონის პროცესის, ევროპული სტანდარტების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით; შეუძლია სწავლების თანამედროვე სტრატეგიების პრაქტიკულად განხორციელება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპებისა და კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვა; სწავლების ინტერაქტიური მეთოდების წარმატებით გამოყენება; შეუძლია შეადგინოს სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი პროგრამები/ პროექტები და სხვ.

დასკვნის უნარი

ფილოლოგიის დოქტორს ღრმა ანალიზის შედეგად შეუძლია კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული და შემოქმედებითი ანალიზი, სათანადოდ შეფასება და ამ შეფასების დასაბუთება; რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; სწორი, სტრატეგიული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება. შეუძლია დაინახოს მთელის ნაწილები, მათი ურთიერთკავშირები და ერთიანობა;

კომუნიკაციის უნარი

ფილოლოგიის დოქტორს შეუძლია წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია ქართულ და უცხოურ ენებზე. აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვის დასმის და ამომწურავი პასუხის გაცემის უნარი. შეუძლია სამეცნიერო დიალოგის წარმართვა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატიკურ პოლემიკაში ჩართვა მშობლიურ და უცხოურ ენებზე. შეუძლია განსხვავებული აზრის

მოსმენა; შეუძლია ოპონენტის არგუმენტირებული პოზიციის მიღება; პროფესიული ამოცანების გადაჭრის მიზნით შეუძლია საკომუნიკაციო სტრატეგიებისა და ტაქტიკის და რიტორიკის კანონების ადეკვატურად გამოყენება.

სწავლის უნარი

ფილოლოგიის დოქტორს აქვს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც მას ხელს უწყობს შეისწავლოს და შეიმეცნოს ახალი იდეები, მზად იყოს ახალი ცოდნის არა მარტო შესაქმნელად, არამედ სხვის მიერ შექმნილი ახალი ცოდნის მისაღებადაც. შეუძლია წარმატებით აითვისოს კვლევის უახლეს მეთოდები; შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და მართოს სწავლის პროცესი. აქვს კრეატიული აზროვნება და შეუძლია ახალი იდეების გენერირება; აცნობიერებს უწყვეტი განათლების მნიშვნელობას, შეუძლია საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს სამეცნიერო პროფილი და მოახერხოს ახალ ვითარებასთან ადაპტირება.

ღირებულებები

ფილოლოგიის დოქტორს შეუძლია პროფესიული ღირებულებების დაცვა. აქვს ტოლერანტობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა კოლეგებთან ურთიერთობისას. მოქმედებს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ობიექტები. პატივს სცემს კულტურათა მრავალფეროვნებას და განსხვავებულ აზრს, ამკვიდრებს აკადემიური ეთიკის ფასეულობებს, შეუძლია არა მარტო ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება, არამედ მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავებაც.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

უმაღლესი სასწავლებლები, კოლეჯები, საჯარო და კერძო სკოლები, სკოლისგარეშე დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები, კომპანიები, ფონდები, ორგანიზაციები, ბიბლიოთეკები, არქივები, ლიტერატურული მუზეუმები, გამომცემლობები, მასმედია, ტურისტული კომპანიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.

ფილოლოგიის დოქტორს შეუძლია დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა თავისი სპეციალობის მიხედვით, რომელიც დადგენილია ამ დაწესებულებათა საშტატო ნომენკლატურით.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, დარგობრივი სემინარებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად-რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება

სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური – კლასიკური ლექცია, ვერბალური გადმოცემის, ინტერაქციული სწავლების მეთოდები, დაკვირვება და ექსპერიმენტი, ჰიპოთეზა და სამეცნიერო მოდელირება, შედარებით-ისტორიული ანალიზის მეთოდი, ენობრივი და ლიტერატურული პროცესების სისტემური და კომპარატივისტული ანალიზის მეთოდები, პრაქტიკული, წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა და სხვ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტი: სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ვასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 – ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60– საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

დარგობრივი სასემინარო ნაშრომი ვასდება ასქულიანი სისტემით, სადაც რეცენზენტის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 30 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ვასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

კვლევით კომპონენტი: დოქტორანტი ვალდებულია გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობითა და მაღალრეიტინგულ რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიებით, სადაც იკვეთება დოქტორანტის დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი, საკვლევი საკითხის სიღრმისეულად და ამომწურავად შესწავლა და მონაცემთა სარწმუნოობა.

დისერტაციის შეფასება

სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება *summa cum laude* (ფრიადი)- შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება *magna cum laude* (ძალიან კარგი)- – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება *cum laude* (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება *bene* (დამაკმაყოფილებელი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

- 51-60 ქულა არის შეფასება *rite* (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება *insufficienter* (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება *sub omni canone* (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, რომელიც ახორციელებს პროგრამას, აქვს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სააუდიტორიო ფონდი, კომპიუტერული კლასები, ბიბლიოთეკა და ა. შ.), რაც უზრუნველყოფს დოქტორანტთა თეორიულ-პრაქტიკულ მომზადებას სასწავლო გეგმისამებრ. ამავე დროს დღეს უნივერსიტეტში სწავლებასა და კვლევას ემსახურება მრავალი სტრუქტურული ერთეული, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი დარგობრივი ბიბლიოთეკა, ტექნიკური აღჭურვილობა, სეროიზული პარტნიორული კონტაქტები საქართველოსა და საზღვარგარეთის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან. დოქტორანტი, მისი ინდივიდუალური პროგრამებიდან გამომდინარე, ისარგებლებს შესაბამისი ერთეულის ან ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე პროგრამაზე წელიწადში შესაძლებელია გარკვეული რაოდენობის დოქტორანტების მიღება, კერძოდ:

1. თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება - 5 დოქტორანტი
2. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა - 2 დოქტორანტი

3. ლიტერატურული ურთიერთობები – 5 დოქტორანტი
4. თარგმანმცოდნეობა – 3 დოქტორანტი
5. ფოლკლორისტიკა – 3 დოქტორანტი
6. ქართული ბიბლიის ფილოლოგია – 5 დოქტორანტი
7. ქართული ლიტერატურის ისტორია – 10 დოქტორანტი
8. ქართველური ენათმეცნიერება – 10 დოქტორანტი
9. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება – 4 დოქტორანტი
10. კლასიკური ფილოლოგია, ძველადმოსავლური ფილოლოგია – 3 დოქტორანტი
11. ბიზანტიური და ახალბერძნული ფილოლოგია – 4 დოქტორანტი
12. ინგლისური ფილოლოგია – 6 დოქტორანტი
13. გერმანული ფილოლოგია – 6 დოქტორანტი
14. რომანული ფილოლოგია – 6 დოქტორანტი
15. სლავური ფილოლოგია – 7 დოქტორანტი
16. სკანდინავიური ფილოლოგია – 3 დოქტორანტი
17. არაბული ფილოლოგია – 5 დოქტორანტი
18. ირანული ფილოლოგია – 5 დოქტორანტი
19. თურქული ფილოლოგია – 5 დოქტორანტი
20. ებრაულ-არამეული ფილოლოგია – 5 დოქტორანტი
21. სომხური ფილოლოგია – 3 დოქტორანტი
22. ლექსიკოგრაფია – 5 დოქტორანტი

პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალის (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირების) ბიოგრაფიული მონაცემები (CV); პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ადამიანური რესურსებით. მის განხორციელებაში მონაწილეობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, რომელსაც დიდი სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება აქვს და აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო დიალოგში; პროგრამის რეალიზებაში ჩართულ პროფესურას აქვს თანამედროვე აკადემიური ცოდნა, მეცნიერებაში უახლესი მიღწევების შემოქმედებითი და კრიტიკული ანალიზის უნარი, ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემუშავების წარმატებული გამოცდილება.
(იხ.დანართი. ყველა მონაწილის CV)

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

ა) სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი)

სავალდებულო კურსები / აქტივობები – 30-35 კრედიტი (ECTS)						
1.	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	სემესტრი	ლექტორი/ები
2.	სწავლების მეთოდები	5	ლექცია – 30 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	62 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	ეთერ ღვინერია
3.	მეცნიერების მენეჯმენტი	5	ლექცია – 15 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	77 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	გიორგი ღვედაშვილი, თამარ გოგუა
4.	დოქტორანტის დარგობრივი სემინარი ¹	15			შემოდგომა/ გაზაფხული	

¹ სადოქტორო დარგობრივი სემინარი იქმნება ფაკულტეტის სხვადასხვა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები (კოორდინატორები), სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები. სადოქტორო დარგობრივი სემინარის მონაწილეები საჯარო განხილვისთვის წარმოადგენენ მოხსენებებს დარგის სხვადასხვა აქტუალურ სამეცნიერო საკითხებზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე. სადოქტორო დარგობრივი სემინარი არის სასწავლო კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის კვლევითი უნარების გამომუშავებას. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სადოქტორო დარგობრივ სემინარზე წარმოდგენილი ნაშრომი სრულდება შესაბამის სამეცნიერო დარგში/სფეროში, დოქტორანტის მიერ სადოქტორო აკადემიური წერის ნორმების დაუფლებისა და დარგის კვლევის მეთოდოლოგიის ათვისების საფუძველზე. ის ფასდება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევართა მიერ.

5.	პროფესორის ასისტენტობა ²	5			შემოდგომა/ გაზაფხული	
6.	აკადემიური წერა	5	ლექცია –15, პრაქტიკუმი –30 საათი. გამოცდის ჩატარება – 3 საათი.	77 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი
არჩევითი კურსები / აქტივობები– 25 კრედიტი (ECTS)						
7.	ენათა კვლევის თეორიული საფუძვლები და გამოყენებითი ასპექტები	10	ლექცია – 30 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	187 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	

² პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შემდეგს: სამუშაო ჯგუფის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკული სამუშაოს/ პრაქტიკული დავალების ჩატარება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; სალექციო კურსის წაკითხვა “საბავშვო უნივერსიტეტის” მსწავლეებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება; სტუდენტთა ნაშრომების გასწორება; საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება; ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადება სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით (ე.წ. LMS – Learning Management System – Moodle და სხვ.); საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; ტუტორობა და სხვ.

კრედიტების რაოდენობა დამოკიდებული უნდა იყოს ჩატარებული საათების რაოდენობაზე და იმ დროზე, რომელიც მოანდომა დოქტორანტმა შესრულებულ სამუშაოს. კრედიტების მინიჭება შეიძლება მოხდეს შემდეგი პრინციპით: მაგალითად, თითოეულ ჩატარებულ საათს ემატება ოთხი საათი, ანუ პირობითად ის დრო, რომელსაც ანდომებს დოქტორანტი მისთვის მზადებას. დავუშვათ, დოქტორანტმა სემესტრის განმავლობაში ჩაატარა 30 საათი. $30 + 120 = 150$. $150 : 25 = 6$ კრედიტი.

საათების რაოდენობას შეიძლება დავუმატოთ ის დრო, რომელიც დოქტორანტმა დაუთმო თავისი ხელმძღვანელის (ან სხვა რომელიმე სრული და ასოცირებული პროფესორის) ლექციებზე დასწრებას პროფესორის სრულყოფის, შესაბამისი მეთოდოლოგიის დაუფლების მიზნით. მაგალითად, თუ დოქტორანტმა სემესტრში ჩაატარა 30 საათი და დაესწრო სხვის მიერ ჩატარებულ 15 ლექციას, მაშინ კრედიტის მინიჭება მოხდება შემდეგი პრინციპით: $30 + 120 + 15 = 165$. $165 : 25 = 7$ კრედიტი. კრედიტების რაოდენობა შეიძლება დამოკიდებული იყოს გასწორებული ნაშრომების რაოდენობაზე. მაგალითად, თითოეული ნაშრომის გასწორებას დოქტორანტი პირობითად ანდომებს 1 საათს. თუ მან გაასწორა 150 ნაშრომი, მას ამ საქმეზე დაუხარჯავს 150 საათი. $150 : 25 = 6$ კრედიტი.

დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე (დანართი #10) პროფესორის ასისტენტობისთვის კრედიტის მინიჭების წინაპირობა არის შესრულებული სამუშაოს დადებითად შეფასება იმ პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტმა ასისტენტობა გაუწია.

8.	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	10	ლექცია – პრაქტიკუმი 30 სთ. გამოცდის 6 საათი.	214 სთ.	შემოდგომა/გაზაფხული	მაკა ერაძე
9.	საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები	10	ლექცია – 15 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 15 სთ.	214 სთ.	შემოდგომა/გაზაფხული	ირინე დარჩია
10.	ქართული წვლილი შუა საუკუნეების ევროპულ ცივილიზაციაში ³	10	ლექცია – 30 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	187 სთ.	შემოდგომა/გაზაფხული	ელგუჯა ხინთიბიძე
11.	შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (კომპარატივისტიკა) და კულტურის ტიპოლოგია	5	ლექცია – 30 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	62 სთ.	შემოდგომა/გაზაფხული	ირმა რატიანი
12.	გერმანული ენათმეცნიერების მიმართულებები და მეთოდები სემანტიკა–პრაგმატიკა 1	5	30 სთ. (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო – 4 სთ) დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო – 6 საათი	89 სთ.	შემოდგომა/გაზაფხული	ლალი ქეცბა–ხუნდაძე, სებასტიან ლიობნერი.
13.	გერმანული ენათმეცნიერების მიმართულებები და მეთოდები სემანტიკა–პრაგმატიკა 2	5	30 სთ. (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო – 4 სთ) დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი	89 სთ.	შემოდგომა/გაზაფხული	

³ 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრამდე აღნიშნული საგნის ნაცვლად ცხადდებოდა საგანი „ ბიბლია და ლიტერატურა“

			დრო – 6 საათი			
14.	დოქტორანტის დარგობრივი სემინარი	15			შემოდგომა/ გაზაფხული	
15.	პროფესორის ასისტენტობა	15			შემოდგომა/ გაზაფხული	
16.	საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	5–25			შემოდგომა/ გაზაფხული	
17.	საქართველოს სხვა აკრედიტებულ უნივერსიტეტებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	5–15			შემოდგომა/ გაზაფხული	
18.	უნივერსიტეტის სხვა სადოქტორო პროგრამების სასწავლო კურსები	5–30			შემოდგომა/ გაზაფხული	
19.	სხვა სახის აქტივობა	5–10			შემოდგომა/ გაზაფხული	

ბ) კვლევითი კომპონენტი

სავალდებულო		
	აქტივობის სახე	სემესტრი
1	სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 1 ⁴	შემოდგომა/გაზაფხული
2	სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 2	შემოდგომა/გაზაფხული
3	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა	შემოდგომა/გაზაფხული

⁴ 2019 - 2020 სასწავლო წლამდე სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 1 და სამეცნიერო-კვლევითი პროექტი 2 ცხადდებოდა დოქტორანტის I-II კოლოკვიუმის სახელით და ენიჭებოდა 20-20 კრედიტი. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში 46-ე მუხლის მე-2 გ პუნქტში 2018 წელს შესული ცვლილებით დოქტორანტის სამეცნიერო კომპონენტს აღარ ენიჭება კრედიტი.

დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი არის კვლევითი კომპონენტი, რომელიც ემსახურება დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევით მიღებული სამეცნიერო სიახლის წარმოჩენას. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო ნაშრომს დოქტორანტის უშუალო საკვლევო თემატიკის ფარგლებში, რომელშიც მოცემულია საკითხის ახლებური გადაწყვეტა და ორიგინალური სამეცნიერო დასკვნები.

კვლევითი პროექტის მომზადებაში დოქტორანტი იყენებს დარგობრივ სემინარზე მიღებულ გამოცდილებას.

დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი მისი დისერტაციის ნაწილია. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული, მინიმუმ, 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი, რომლის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საჯარო განხილვა/პრეზენტაცია ჩატარდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის ჩართულობით.

კვლევითი პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება დოქტორანტისთვის სავალდებულოა დასრულებული დისერტაციის ჩაბარებამდე.